ცნობის ფურცელი

№ 2145 ხუთშაბათი, 8 მაისი 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2145

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვაკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირადად მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-116 №-რი.

კნ. ელისაბედ ნიკოლოზის ასული ბაგრატიონ-მუხრან ბატონისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მისის ძვირფასის მეუღლის თავადის

კონსტანტინე ივანეს ძის ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის

დაკრძალვა მოხდება დღეს, ხუთშაბათს, 8 მაისს, მცხეთის საკათალიკოსო ტაძარში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (0—6)

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)
კვლენის სისტემისა
„იდეალ"
საერთაშორისო კონგრესზე ლიონში **უმაღლესი საჩუქარი** მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია და ხმარებაც **სულ უშიშრად** შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელია **პეტრე ქიშიანი** ტფილისში, ოლგინსკი ქუჩა, სახლი მაკაროვისა. **ტელეფონი 150.** ზარბაზნების საწყობი სარაჯევის სახლშია წყნეთის ქუჩაზე. (0—12)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის ვ. ს. მუსხელაშვილისა.
(გედევანიშვილის სახლი)
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დილით:
მ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.
ნ. ტ. მუღინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.
ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.
ა. ნ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.
ვ. მუსხელიშვილი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$.
დ. ა. ზედგინიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.
ნ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.
მრ. მ. ხოგოლევსკი—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.
საღამოთი:
ა. ნ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).
მუდმივი ექიმი **მ. დ. ნახარიძე.**
სამკურნალოში აქვს საწოლი ოთახი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანეთიდან ხუთამდე.
ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21 (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.)
ტელეფონი № 274 (წლ.

ქართული თეატრი.
კვირას, 11 მაისს, 1903 წ.
ქართულ თეატრის არტისტები
თავ. ალექსანდრე სუმბათაშვილისა
(იუჟინის)
და
მოსკოვის საიმპერატორო თეატრის არტისტების პატივსაცემლად
გამართავენ წარმოდგენას.
წარმოდგენილი იქნება:
I
მეოთხე მოქმედება სუმბათაშვილის კომედიიდან
ჰაჯაიანი
II
მეორე მოქმედება ცაგარლის კომედიიდან
ხანუმა
III
ქართული ხალხური სიმღერები
და ცეკვა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
ბილეთების ყიდვა ამ თავითვე შეიძლება თეატრის კასაში, ყოველ დღე.
დასაწყისი 9 საათზე.
საღამოს გამგენი: **გ. აბაშიძე, გ. მესხი**
(3—2)

ექიმი
ვ. ლამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—3-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.
ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ძებრილიანტე
კ. დ. კობახიძე
მაღაზია იმყოფება შუა ბაზარში, არმიანსკი და სოლომონოვის ქუჩის კუთხეში, სახლი თულაევისა. ამ დღეებში მივიღებთ დიდ-ძალ საეკლესიო ნივთებს და ხატებს.
(9—5.—2)

სამოსახლო ადგილი
300 ჩარხსო საჟ.
იყიდება
ვერაზე, ხევს იქით, სათ.-აზნ. სკოლის შენობის პირდაპირ.
იკითხეთ: „წერა-კითხვის საზოგადოებაში" ქუჩუკაშვილთან, ან ოსიპოვსკის ვიწრო ქ. კრასნოგორსკის ქუჩიდან, სახლი ხატიევისა, № 7. მე-9 ნაწილში. (10—5.—5)

საზღვარ-გარედ

საარჩევნო ბრძოლა გერმანიაში. რაც უფრო ახლოვდება საპარლამენტო არჩევნებისთვის დანიშნული დღე, მით უფრო ცხარეა პარტიების ბრძოლა... მაგრამ ყველაზე მეტის გატაცებითა და ენერგიით ისევ დემოკრატიული პარტია გამოდის ბრძოლის ველზე.

ეხლა-ხან ერთ უზარმაზარ დარბაზში ულაპარაკნია სოციალ-დემოკრატიის დიდად დამსახურებულ და საყვარელ მეთაურს. რასაკვირველია, პირველი საგანი, რომელსაც შეეხო ნიჭიერი ორატორი, ახალი სადამოჟნო ტარიფი იყო.

„...გრაფი ბიულოვი გვარწმუნებდა, რომ ახალ ტარიფის ფინანსიური მხარე (ხაზინის სარგებელი) ძალიან ცოტა ეინტერესება. მაგრამ ხაზინის სტატს-სეკრეტარი, რომელსაც კასა გამოცარიელებული აქვს, ნეტარებით ელის იმ დღეს, როცა ახალი ტარიფი დაიწყებს მოქმედებას და წინდა-წინვე გახარებულია, როგორც პატარა ბავშვი შობის ხისა და საშობაო საჩუქრების მოლოდინში. ეს ადვილი გასაგებიც არის: მარტო წმინდა სამეურნეო ნაწარმოების ბაჟი შემოიტანს 175 მილიონ მარკას. თვითონ გერმანიის სამეურნეო ნაწარმოების მომხმარებელი კი იძულებული იქნება იხადოს „გაჭირვებულ სასოფლო მეურნეობისათვის" ექვსასი მილიონი მარკა კონტრიბუცია. პურის უმთავრესი მომხმარებელი მუშაა და ამ მუშამ თავის მცირე ჯიბიდან უნდა უხადოს თავად-აზნაურობას საგანგებო ხარკი, რომელიც პატარა არ იქნება: მუშის ოჯახი, რომელიც ხუთის სულისაგან შესდგება, ქვავის ბაჟის აწევის მიზეზით წლიურად ჰკარგავს ორმოცდა ხუთ მარკას; თუ მუშის დღიურ ქირას სამ მარკას ვიანგარიშებთ, იუნკრების სასარგებლოდ მუქთად უნდა იმუშაოს მთელი თხუთმეტი დღე! ეს კიდევ ცოტაა! გაძვირდება ყავა, ბრინჯი, ნავთი და საზოგადოდ ყველა აუცილებელი საგნები. გარდა ამისა, პროლეტარიატის მდგომარეობა გაცუდდება კიდევ მეორეს მხრით: სამუშაო საქმე ნაკლები იქნება, რადგან სხვა სახელმწიფოებიც მოუმატებენ ბაჟს გერმანულ საქონელზე; ამას მოჰყვება ის, რომ გერმანული საქონელი ნაკლები გაიზიდება საზღვარ-გარედ, რაც წარმოების შემცირებას გამოიწვევს აუცილებლად. ამ გვარად ახალ ტარიფის შედეგი იქნება უფრო ცუდი სავაჭრო ხელ-შეკრულებანი, რაც გააუარესებს ფაბრიკის მუშის ცხოვრების პირობებს.

ცხადია, რომ სოციალ-დემოკრატები წინააღმდეგი იქნებიან ახალ სავაჭრო ხელ-შეკრულებათა, თუნდა სადამოჟნო ომიც მოჰყვეს ასეთ ტაქტიკას. ამ ომის ბრალი დაედება თავად-აზნაურობას და მთავრობას და არა სოციალ-დემოკრატებს. თვითონვე შეხვრიპონ ის ფაფა, რომელიც მათ მოხარშეს!"

შემდეგ ბებელი გადავიდა მილიტარისმის

ფელეტონი

სიმღერა

ბაღს ვიხილე გუშინა
ია-ვარდით მქუხადა,
მწვანე-ქუდით სავსეა,
სიტურფით სხვა და სხვათადა.
დღეს ვნახე ბაღი მომკვდარი,
რომ ბაღი არარაობდა:
ზედ დადიოდა ნახირი,
ზოგი ხტის, ზოგი ბღაოდა
და ცაში ნაშის მოკებით
შავი ყორანი ჩხაოდა.

—

გუშინა ვნახე ჭაბუკი
ლაღი, ყელ-მოღერებული,
მტერთან და მოყვრისთანა
სხივად გულ-მოჯერებული;
მოყვრისთანა საყვარით
მტერზე ხმალ-მოღერებული
და დღეს კი-წელში მოხრილი,
ყველასთან მოფერებული.

—

გუშინა ვნახე ქალ-ვაჟი
ყელ-ყელზე გადაჭდობილნი,
ყველასგან ურთი-ერთისა
მოსიყვარულედ ცნობილნი.
და დღეს-კი ერთმანერთისა
დაუდევრად მწყევარნი:
არ იზიარებდნენ ერთმანერთს,
როგორაც კურდღელს მწევარნი.
ერთი ერთისა, სხვა სხვისა
მოარშიყედ მდევარნი.

—

გუშინ ვიხილე ყმაწვილი
დედის გულ-მკერდში ჩაკრული,
დედას უბღუჯავს ძუძუებს,
ტკბილვით იყო დაკრული;
და დღეს კი იმისვე ხელით
მისი მშობელი დაკლული.

—

გუშინა ვნახე, მდინარე
ადიდებული ქოთობდა
და დღეს კი დაწინჯებულა,
იგი ადრა დოთობდა,—
ქვებს დაუგდნა, ხეებსაც,
შვავანად მოდის, უმიდა,
გადაქცეულა საწყალი
სახრაკ და სათელელ დუმადა.
მხოლოდ ამას-და დუღუნებს:
„თავისთვის ვიყო ჩუმადა!.."

ვაჟა-ფშაველა

გახუნებულ აზნაურის წერილები

VIII

მაისის არჩევნებმა და მაისის წმინდა გაზაფხულის ჰაერმა ქველ თავად-აზნაურობას მადა გაუღვიძეს და სადღრეელი აუშალეს. ყველანი თავიანთ მიყრუებულ სოფლებიდან და სოროებიდან დაიძრნენ და ქალაქისაკენ გამოეშურნენ... აქ მშვენივრად გამომცხვარი დაბრაწული საზოგადოებრივი ქადა ეგულებოდათ. ქადას მშვენიერი სუნი ასდიოდა და იმის ლამაზად აწითლებულ ქერქს სულ კნაწა-კნუწი გაჰქონდა...

— რაც უნდამოგვივიდეს, უსათუოდ კბილი უნდა ჩავჭიდოთ ამ ქადასაო,—ისმოდა ყველა მხრიდან. ზოგს გულ-წრფელად ეწადა, თავისი ძალა და ღონე საზოგადოებრივ შრომისათვის მოეხმარებინა ესენი წყნარად და თავ-დაბლად თხოულობდნენ ამ სამსახურს, მაგრამ ამათთან ერთად მრავალი ვინ გინდა რა კაცებიც თხოულობდნენ ამავე სამსახურს... ისეთი კაცები თხოულობდნენ, რომლებსაც მგლურ მადის გარდა სხვა ღირსება არა აქვთრა და არც სერიოზულ საზოგადოებრივ სამსახურის თავი აქვთ; ამ წუთი-სოფელში გაუმაძღარ კუჭის გარდა სხვა არა აწუხებთ-რა. რამდენადაც პირველი ჯგუფი წყნარად დინჯად ელოდებოდა კენჭის ყრას, იმდენად მეორე ჯგუფი გასაკვირველ თავხედობას და აღვირ-ახსნილობას იჩენდა და თეთრ კბილებს მძლავრად მსუნაგივით აკაპუნებდა.

როცა ბანკის რწმუნებულთა კრებაზე ერთმა წევრმა იმის თქმა გაბედა, რომ, ჩემის აზრით, დამფასებლების მომატება საჭირო არაა, რადგან საქმე სრულებითაც არ მოჰმატებიათო, ყველა ამ მადა-გაღვიძებულ ვაჟ-ბატონებმა ეს განცხადება შეურაცხყოფად ჩასთვალეს და ხმა-მაღლა ამტკიცებდნენ, დამფასებლებს საშინლად ბევრი საქმე აქვთ და ძლიერ საშიშია, ძალა არ მოუვიდეთ და ამის გამო ჩვენ ძვირფასს და სასარგებლო დაწესებულებასაც არა ევნოს-რაო. ზედამხედველ კომიტეტის ერთმა წევრმაც გრძელი, ეფექტით სავსე სიტყვა წარმოსთქვა იმის დასამტკიცებლად, რომ დამფასებლები დღე-დაღამეს ასწორებენ და მთელი 24 საათი სულ თხზულებებსა სწერენო. რწმუნებულთა კრებამაც შეიბრალა საწყალი, შრომისაგან დაქანცული დამფასებლები და დაადგინა: ერთი წყვილი დამფასებელი კიდევ მოუმატოთ, რომ ეხლანდელი დამფასებლები მართლაც და აუტანელმა საზოგადოებრივმა შრომის ტვირთმა წელში არ გასწყვიტოსო.

ზრდაზე და იმ სავალალო შედეგზე, რომელიც პირველს მისდევს ხოლმე.

ყოველ წელს მატულობს სამხედრო ხარჯი და, რასაკვირველია, მატულობს სახელმწიფოს ვალიც. 1872 წელს ჯარსა და ფლოტზე ხარჯავდნენ 322 მილიონ მარკას; ოცდაათის წლის შემდეგ კი, 1902 წელს დაიხარჯა 1,030 მილიონი მარკა. გერმანიის მცხოვრებთა რიცხვს ამ ხნის განმავლობაში მოემატა სულ ოცდა თექვსმეტი პროცენტი, სამხედრო ხარჯებს კი 322 პროცენტი! 1888 წელს გერმანიის იმპერიის სახელმწიფო ვალი არ აღემატებოდა 721 მილიონ მარკას, ეხლა კი სამ მილიარდს უდრის. აქ არ შედის გერმანიის სამთავროების კერძო ვალები.

მიუხედავათ ამისა, სულ ახალ-ახალ სამხედრო ხარჯებს იგონებენ ახალ რეიხსტაგს წარმოუდგენენ ჯარისა და ფლოტის მომატების ორ პროექტს...

◆ საკვირველია, რომ ბერლინში, სადაც ამომრჩევლები სულ სოციალ-დემოკრატიის ან თავისუფალ მოაზრეთა მომხრენი არიან, წელს კონსერვატორები ცდილობენ მანდატების შეძენას. ეს უფრო გაბედულების საქმეა, ვიდრე ანგარიშიანობისა და შორს მხედველობისა, მაგრამ ერთი რამ არის აღსანიშნავი: კონსერვატორები მწარედ უსაყვედურებენ მთავრობას, რომ ენერგიულად არ ეხმარება „სახელმწიფოს წეს-წყობილების შემნახველ" პარტიას. მართლაც, მთავრობა ამ საარჩევანო ბრძოლის დროს პირდაპირ და მოჰრით არ აცხადებს თვის პაროლს, რომელიც, რასაკვირველია, დემოკრატიის წინააღმდეგი უნდა იყოს. ამაზედ ერთი პატიოსანი კონსერვატორი დელბრიუკი შემდეგ პასუხს აძლევს თვის პარტიის ზოგიერთ მოღვაწეთ: „მთავრობა იმიტომ არის გაჩუმებული, რომ ხომ ვერ იტყვის საჯაროდ—ისევ სოციალ-დემოკრატი აირჩიეთ, ვიდრე კონსერვატორი-აგრარიო, იქნება ძალიან განცვიფრდეთ ამ ჩემ ნათქვამზე? მართლაც, იმპერატორ ვილჰელმის ცნობილ სიტყვების შემდეგ მთავრობის ლოზუნგი სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ უნდა იყოს, მაგრამ ერთი გავიწყდებათ: სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ ჯარის შეყრა, თუ გაიმარჯვეს, იმას ნიშნავს, რომ რეიხსტაგის ბატონ-პატრონი აგრარიები იქნებიან. ახალ რეიხსტაგის უმთავრესი საქმე კი სადამოჟნო კითხვა და სავაჭრო ხელშეკრულებანი იქნება. ხომ აუცილებელი იქნება ნამდვილი სადამოჟნო ბრძოლა სახელმწიფოებთან, თუ აგრარიებმა გაიმარჯვეს. ამ გვარად მთავრობამ ორში ერთი უნდა ირჩიოს: ან მემარცხნე რადიკალები ან მემარჯვენე რადიკალები, მაგრამ იგი არჩევანს არ ჰშვრება, იგი ნეიტრალია, და ძალიან კარგადაც სჩადის: თუ ახლოდ დავუკვირდებით საქმეს, სოციალ-დემოკრატები, რაც უნდა იყოს, თანამედროვე ხალხია, ყოველთვის სახეში აქვთ კულტურული განვითარების მოთხოვნილებანი, მაშინ როდესაც უკიდურესი აგრარიები და უბრალო აგრარიებიც კი მხეცს ჰზრდიან ადამიანში. მოფიქრებაც კი შიშსა ჰგვრის ადამიანს, რომ წარმოიდგენს თუ სისულელის, უვიცობისა და ვიწრო მატერიალურ ინტერესების მეფობა დადგებოდა, რომ აგრარიებმა გაიმარჯვონ და კანონ-მდებლობა დაიმორჩილონ... ბაჟი, რენტის ხელოვნური ამაღლება, მოწყალების გამოთხოვა—აი, იდეები ეხლანდელ კონსერვატორებისა, და ყველაფერს ამის წინ აყენებენ მურტლად, ყვირილით, ცინიკურის უყურადღებობით ქვეყნის საჭიროებისადმი. როგორ არ უნდა დავეთანხმოთ რიხტერს, რომელმაც კონსერვატორებს მიაყვირა რეიხსტაგში: „და თქვენ ჰბედავთ დაუძახოთ თქვენ თავს „სახელმწიფოს შემნახველი" პარტია? არა, თქვენ თითონ გინახავთ სახელმწიფო".

ბალკანეთი. კონსულების მოხსენებიდან ცხადათ სჩანს, რომ მონასტირში მომხდარ ხოცვა ჟლეტის მიზეზი იყვნენ მაჰმადიანები, რომელნიც იარაღით ხელში ბოლგარებს დასხმიან თავს.

იმავე დღეს, ე. ი. ექვს მაისს, სოფელ ცაპარისთან, მონასტირის ახლო, რევოლიუციონერებსა და ოსმალელ ჯარის კაცებს შეტაკება მოსვლიათ; დაუჭრიათ და მოუკლავთ ცამეტი ბოლგარელი და დაუტყვევებიათ 74.

უსკიუბიდან და მონასტირიდან მოსულ ცნობებით, მაკედონიის კომიტეტი უნდა ამზადებდეს ახალ კატასტროფას.

გარდა რეგულიარულ ჯარისა, ქრისტიანების გაჟლეტაში დიდ მონაწილეობას იღებენ ეგრეთ წოდებული ბაშიბუზუკებიც.

საქმე უკიდურესად მწვავდება. რევოლიუციონერებს გადაწყვეტილი აქვთ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იბრძოლონ და მაჰმადიანების გაბოროტებასაც საზღვარი არა აქვს.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 7 მაისს, ტფილისიდან მცხეთას წაასვენეს გვამი ახლად გარდაცვალებულის თავ. გ. ა. მუხრან-ბატონისა. გასვენებას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. იყო აგრეთვე ჯარიც. დაკრძალვა დღეს მოხდება მცხეთის საკათალიკოზო ტაძარში.

◆ 5 მაისს ტფილისში **ჩამოვიდა** სახელმწიფო რკინის გზათა უფროსი ინსპექტორი ინჟენერი კეტრიცი.

◆ გუშინ, 7 მაისს, ნავთლუღში სადგურთან ვიღაც **ბოროტ-განმზრახველნი დაეცნენ მატარებელს № 231**, გაძარცვეს, სცემეს კონდუქტორს ჟურავლევს და დაიმალნენ.

◆ ამ ზაფხულს რუსეთიდან ბევრნი აპირებენ **საექსკურსიოდ** ტფილისში ჩამოსვლას. უმთავრესად ეწვევიან ჩვენს ქალაქს მოსწავლენი. სხვათა შორის, ჩამოვლენ კურსკის საშუალო სასწავლებლების მოსწავლენი.

◆ გუშინ-წინ, 6 მაისს, **ტფილისიდან ბაქოს წავიდა** საპიორთა მეოთხე ბატალიონი.

◆ **სოხუმში არსებობს სასოფლო-სამეურნეო სადგური.** მიწათ-მოქმედების სამინისტროს, როგორც „ჩერ. ვეს."-ს გაუგია, ამ სადგურთან აპირებს საარქეოლოგიო და საბოტანიკო მუზეის დაარსებას.

◆ როგორც რკინის გზის **ჭიათურის შტოდან** გვატყობინებენ, მატარებლების შეუჩერებელი მიმოსვლა რკვიასა და ბოსლევს შუა განუახლებიათ. ამ ადგილას მიწის ზვავებისაგან გზა წაჰხდა, ამიტომ გვერდით პატარა ადგილზე ახალი ლიანდაგი გამართეს.

◆ სომხურ დრამატიულ საზოგადოების **წლიური კრება** დანიშნულია 11 მაისისთვის. პირველი კრება 4 მაისისთვის იყო დანიშნული, მაგრამ არ შესდგა.

◆ ბაქოში არსებობს დაბალი სატეხნიკო სკოლა. უმაღლესს მთავრობას გადაუწყვეტია, ეს **სკოლა საშუალო სატეხნიკო სასწავლებლად გადააკეთოს.**

◆ გაზეთ „ბაკუ"-ში ვკითხულობთ: „კავკასიის მთავარ-მართებელმა, ერევნის ჟანდარმთა გამგეობის მოხსენების თანახმად, ერევნის გუბერნიის სოფ. ხანლუპლიარის მცხოვრებს ოჰანეს მუგდუსი-მაკაროვს, რომელიც აღკრძალულ იარაღსა ჰყიდდა, **აუკრძალა სამის წლით კავკასიაში ცხოვრება**".

◆ **4 მაისს, საღამოს 7 საათზე, სიღნაღის მაზრის სოფელ მირზაანის მცხოვრები მოსე კონაშვილი და ნიკო ალოშვილი ცხვრის ფარას მიერეკებოდნენ ხევზე, რომანოვის წისქვილთან. ამ დროს ხევის ნაპირიდან ხევში გადავარდა 68 ცხვარი. ხევის ძირში ღრმა მორევია; ზოგი იქ დაიხრჩო და ზოგიც გადავარდნის დროს დაიღუპა.**

◆ **ჭიათურა**: „3 მაისს გალობის მოყვარულთა გუნდის მიერ, ს. ჭინჭველაშვილის ლოტბარობით, გაიმართა კონცერტი. გუნდმა შეასრულა იმერულ-გურული და ქართლ-კახური სიმღერები. თუმცა განცხადებანი დროზე ვერ დაარიგეს, მაგრამ ხალხი მაინც ბლომად დაესწრო. კონცერტმა საზოგადოდ უფერულად ჩაიარა, მაგრამ ახლად შემდგარ გუნდს ჯერ-ჯერობით მეტი ვერ მოეთხოვება".

◆ საცოდავობა მომხდარა სამშაბათს, ნაშუადღევის ოთხ საათზე: მიხეილის ქუჩაზე, მერაბოვის სახლის ეზოდან რ—სკის ოთხი წლის ვაჟი გარედ ქუჩაში გაქანებული გამოვარდნილა ჯოხზე შემჯდარი. ამავე დროს ზემოდან ფაიტონი მოჰქროდა თურმე და ამ ზედ ბავშვს დაჰტაკებია, წაუქცევია და გულ-მკერდზე გადაუვლია. საბრალო ბავშვი მკვდარი აუყვანიათ ქუჩიდან.

◆ სამტრედია: 5 მაისს, საღამოთი, სადგურზე მომუშავე საბა ნიკურაძე მუშაობის დროს დაშავდა. დაშავებული ტფილისის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ კვირას, 4 მაისს, გ-ნა თ. ი. წულუკიძის თაოსნობით, ქალაქის ბაღში გაიმართა სეირნობა „ქ. შ. წ. კ. გ. ს. საზოგადოების" სასარგებლოდ. პატივცემულ კნეინას ყოველი ღონისძიება ეხმარა, სეირნობა რომ კარგად მოეწყო: ბაღი გაჩირაღდნებული და მორთული იყო; შუა ბაღში იდგა ფოთლებითა და ჩითეულობით მორთული დიდი პავილიონი, სადაც ცეკვა უნდა გამართულიყო; პავილიონს ოთხ-კუთხივ აშენებდა ამგვარადვე მორთული კიოსკები; იქვე გამართული იყო ოთხი კარავი; გვერდით გაკეთებული იყო ნედლ ტოტების ფანჩატური. ბაღში უკრავდა ორწყება სამხედრო მუსიკა და ზურნა. სეირნობის დროს ბაღში მაშხალებს უშვებდნენ და სხ. ბუფეტიც დამაზად იყო მოწყობილი. მიუხედავად ასეთის მომზადებისა, სეირნობამ სასურველად ვერ ჩაიარა, და ამის მიზეზი ცუდი ამინდი იყო. თუმცა შაბათს ცოტათი იღრუბლებოდა, მაგრამ კვირა დილის მოწმენდილმა ცამ და ბარომეტრის წინასწარმეტყველებამ წაათამამა საქმის მოთავენი და სეირნობის გადადება საჭიროდ არა სცნეს. როდესაც თითქმის ყველაფერი მოაწყეს, მხოლოდ მაშინ დაინახეს, რომ ამინდი სიკეთეს არ აპირებდა, მაგრამ სეირნობის გადადება გვიან და იყო. სეირნობა გაიმართა; საზოგადოებაც, რაც კი ასეთ ამინდში შეიძლებოდა, საკმაოდ დაესწრო. მაგრამ მალე წამოუშინა წვიმამ და საზოგადოება სულ გაჰფანტა. ბაღში შესასვლელ ბილეთების გაყიდვიდან შემოვიდა 300 მანეთზე ცოტა მეტი; 140 მანეთამდის ფულადაც შემოსწირეს. ბუფეტის სანოვაგეც თითქმის შემოწირულება იყო; ასე რომ, ყოველ ხარჯს გარდა, ჩემის აზრით, წმინდა შემოსავალი 400—500 მანეთამდის იქნება.

მაშინ კი ჩვენი თავად-აზნაურობა ფეხზე დადგა და ნამდვილი ომი დაიწყო. აქამდე თუ საიდუმლოთა და გაუბედავად ცდილობდნენ, ეხლა კი აშკარად და გაბედულად გამართეს აგიტაცია და ნამდვილი სამხედრო იერიში მიიტანეს კრების წევრებზე. ბებიები, ძალუები, მამიდები, დეიდები, ბიძაშვილები და ბიძა-შვილი-შვილები... ყველანი ამხედრდნენ და თავ-თავიანთი კანდიდატისათვის ცდილობდნენ. ყოველ კუთხეში უიმისოთაც გადარეულ თავად-აზნაურობას უხვდებოდნენ და ძალად პირობას ართმევდნენ, ჩვენი კანდიდატი აარჩიეთო.

მეც, თქვენი მორჩილი მონა, ქალების რაზმმა ჩამიგდო ხელში და, მეტი რა ჩარა მქონდა, ნამდვილ ტყვესავით ისეთ კაცს დავპირდი ჩემ კენჭს, რომელსაც ნამცეც პატივს არა ვცემ; ისეთ კაცს დავპირდი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, მე რომ გაჭირვებაში ვიყო, თითსაც არ გაანძრევს ჩემ საშველად; მე კი დავლბი ცხელ ბოზბაშში ჩაყრილ პურივით და ამ უმსგავს კაცის კანდიდატურას დავეთანხმდი.

მეცა და, როგორც ვფიქრობ, ბევრ ჩემ ამხანაგ აზნაურსაც მოქალაქობრივი სიმამაცე არა გვაქვს და ამიტომ ვერ გავბედეთ პირდაპირ პატიოსნად გვეთქვა, რომ ამა და ამ კანდიდატს ვერ თანავუგრძნობთო. აკი აქაც ის ამბავი მოხდა, რაც ყოველთვის მოხდება ხოლმე ჩვენში: ყველანი თეთრ კენჭს დაჰპირდნენ თავ-თავიანთ კანდიდატებს და როცა დრო მოვიდა შავი კენჭები კი ჩაუყარეს! ჩვენ, ყველა ქართველ თავად-აზნაურთ, ძლიერ გვიყვარს დაპირება. ფულს, ადგილს, დახმარებას, ვალის დროზე გასტუმრებას ძლიერ ადვილად დავპირდებით ერთმანეთს, მაგრამ ამ დაპირებას არას დროს კი არ ვასრულებთ. ამ მხრივ ძლიერ ვგევართ განთქმულ ტარასკონელებს. ეს ჩვენის გულ-კეთილობისა და გულ-წრფელობისაგან გვემართება. როცა რასმე გვთხოვენ, უარის თქმა გვეძნელება და დარდიმანდულად ვპირდებით იმას, რასაც, თითონ ჩვენვე ვიცით, არას დროს არ შევასრულებთ...

სათავად-აზნაურო კრებაზე დასასწრებად სოფლებიდან მრავალი, ჩემსავით გახუნებული თავად-აზნაური ჩამოვიდა ცოლით, ქალიშვილებით და უსწავლელ ვაჟი-შვილებით. ყველანი მორთულ-მოკაზმულიყვნენ და მეტად კოხტად და სუფთად გამოიყურებოდნენ, მხოლოდ აზრი და სული კი ისევ ისე დახავსებული და გახუნებული შერჩენოდათ. ყველანი არეულ-დარეულ, მოუწყობელ ცხოვრებისაგან დაავადებული და დასნეულებული იყვნენ; ყველანი იმ იმედით ჩამოსულიყვნენ სათავად-აზნაურო კრებაზე, რომ აქ იარებს განიკურნებენ, რომ ღვთის ანაბარობაზე დატოვებულ მოზარდ-თაობისათვის საკმაო წიგნსა, სკოლას და მასწავლებელს მოიპოვებენ, რომ აქ თავიანთ დანგრეულ სახლ-კარისათვის და გადაწოლილ ლობეებისათვის საკმაო მაგარ ბოძებს იშოვნიან... რაღა ბევრი გავაგრძელო, ყველას ბევრი იმედი აქვს, ნამეტანი ბევრი იმედიც აქვს.

თავდა-პირველად, რასაკვირველია გაარჩიეს ის საქმე, თუ როგორ მოვიხმაროთ უმაღლესად ნაბოძები ფულიო. ძლიერ დიდხანს გავაჭიანურეთ ამ საქმეზე ლაპარაკი... ჰამლეტისებურ გაუბედაობას ჩვენებური ჩვეულებრივი შეურიგებლობაც ზედ დაერთო. ნამდვილად კი განა ამაზე ცხადი და ადვილად გადასაწყვეტი საქმე კიდევ შეიძლება? ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა სასოფლო-სამეურნეო ცოდნა, რომ ჩვენ ბუნებით მდიდარ მიწას რიგზე მოვუაროთ,—ეს ყველასათვის ცხადია. რაც უნდა სთქვან, ჩვენ მაინც მიწათ-მომქმედი წოდება ვართ; ჩვენთვის იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ჩვენი მამულის ნაგლეჯები, სადაც ბინა გვაქვს და როგორც არის ვაი-ვაგლახით ვსცხოვრობთ, ხელიდან არ გვეცლებოდეს, სასოფლო-სამეურნეო ცოდნის შემწეობით უმჯობესდებოდეს და ისე რიგიანად და კულტურულად მოეწყოს, რომ მოვახშის შემწეობა აღარ გვჭირდებოდეს და უიმათოდაც იოლად მივდიოდეთ.

მაგრამ ამას ვერ მოვახერხებთ, თუ ცოდნა არ შევიძინეთ. ამ ცოდნას კი მოგვცემს ისეთი კარგად მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო საშუალო სასწავლებელი, სადაც საზოგადო განათლების კურსსაც გაივლიან. ამისთანა სასწავლებელი უსათუოდ უნდა მოაშორონ ქალაქსა და ქალაქის ცხოვრებას. მთელი სწავლა და მოსწავლეების მთელი ცხოვრებაც სოფელში უნდა მოთავსდეს იმ მინდვრებსა და ტყეებში, სადაც ამ სკოლის მოწაფეებმა შემდეგშიაც უნდა იცხოვრონ და თავიანთი ცოდნა გამოიყენონ. უმჯობესი იქნება, რომ მომავალ სასოფლო-სამეურნეო სკოლის შაგირდებმა სულაც არა იცოდნენრა ქალაქის ცხოვრებისა და იმის საეჭვო კულტურისა. რიგიანი შრომა და სპარტანული წესები მოზარდ თაობას შეაჩვევენ და შეაყვარებენ სოფლის მეურნეობასა და შრომას, ესე იგი სწორედ იმ ნიჭსა და უნარს შესძენენ ჩვენ ყმაწვილ-კაცებს, რაც ვერ შესძინეს ჩვენმა თავად აზნაურთ ოჯახებმა; ამ ოჯახებში ახალგაზრდობა თავზე-ხელაღებულ, უთავბოლო ხასიათისა და ქარაფშუტობის გარდა სხვას არას ითვისებდა.

თუ ორივ გუბერნია—ტფილისისა და ქუთაისისა,—საზოგადო საქმისათვის შეერთდებიან, ფულსაც შეაერთებენ და ერთ საზოგადო სასწავლებელს დააარსებენ—ეს ძლიერ წინ წასწევს და მოუხდება საქმეს. თავად-აზნაურობას კარგი ადგილი და კარგი მიწა აქვს თითქმის ორსავე გუბერნიის საზღვარზე. ჩემის აზრით, სწორედ აქ უნდა გაიხსნას სასწავლებელი. ეჭვი არაა, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი დიდ სარგებლობას მოგვიტანს, ახალ ძალას მოგვცემს და გაგვამხნევებს ბრძოლისათვის. ეს ბრძოლა კი ძლიერ საჭიროა, რადგან დიდი საფრთხე გვემუქრის: ლამის ჩვენის ძვირფასის მამულის ნაგლეჯებიც კი ხელიდან გამოგვეცალდეს.

იქნება ჩვენმა უბედურმა, გაკოტრებულმა და გახუნებულმა აზნაურებმაც შეიძლონ ფეხზე წამოდგომა, რიგიანი ადამიანური ცხოვრება მოახერხონ, ნიადაგ იმის ფიქრში არ იყვნენ, რომ ლუკმა-პური არ გაგვიწყდესო და ნიადაგ შიშისაგან არ კანკალებდნენ, რომ სახლ-კარი და მამული საჯაროდ არ გაგვეყიდოსო; იქნება როდისმე თავისუფლად ამოვისუნთქოთ, იქნება სასოფლო სამეურნეო ცოდნამ ჩვენ საცოდავ ქოხებში ფეხი მოიკიდოს და ჩვენი ძუნწი, გაციებული სიცოცხლე გაათბოს და ჩვენი გაოხრებული ბიუჯეტი გაასწოროს, დონეზე დააყენოს! როცა კი ამნაირი ფიქრი მომივა, მთელი ჩემი არსება ძლიერის სიხარულით და ნათელ იმედით ივსება და სიამოვნებისაგან მთლად ავლელდები ხოლმე.

სულით და გულით ვსვამ მომავალ სასოფლო-სამეურნეო, ორსავ გუბერნიისათვის საერთო სკოლისა და იმის ახალგაზდა, ჩვენთვის ძვირფას მოწაფეთა სადღეგრძელოს! ამ მოწაფეთაგან ჩვენ, გახუნებული, გაკოტრებული და დაბეჩავებული თავად-აზნაურნი ველით მთელის ჩვენის ვაგლახ ცხოვრების წყობილების გაუმჯობესებას.

დ. ვ.

რუსეთის ქრონიკა

✦ 30 აპრილს ზაფხულის მოახლოვებისა გამო დროებით მუშაობა შეაჩერა პეტერბურგში შტოფის თავმჯდომარეობით შემდგარმა კომისიამ. ამ კომისიას საინტერესო საკითხის გამორკვევა აქვს მინდობილი, სახელდობრ იმისა, თუ როგორ უნდა უზრუნველ-ჰყონ მუშები მოხუცებულობის დროს. ამ კომისიის მუშაობის შესახებ წინადაც ვწერდით. მოხუცთათვის პენსიის დასანიშნად და საპენსიო კასების დასაარსებლად უნდა შესდგეს, რასაკვირველია, თანხა. კომისიის აზრით, თანხის შედგენაში მონაწილეობა უნდა მიიღონ როგორც ხაზინამ, ისე მრეწველებმა და მუშებმა. უკანასკნელ კრებას ლაპარაკი ჰქონდა იმაზე, თუ რამდენი უნდა გაიღონ კასისთვის მრეწველებმა და მუშებმა. წევრთა უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა. რომ მუშებმა და მრეწველებმა თანაბრად უნდა შეიტანონ ფული. უკანასკნელმავე კრებამ საჭიროდ სცნო აგრეთვე ხაზინის მონაწილეობაც. კამათის დროს ზოგმა განაცხადა, რომ ხაზინის ამ საქმეში მონაწილეობა მუშათა საპენსიო კასების მოწყობითა და ამ კასების ადმინისტრაციის შენახვით უნდა გამოიხატოსო; ზოგმა კიდევ—ხაზინამაც უნდა გაიღოს ფული კასსების შესავსებადაო. როგორც გამოარკვიეს, პირველ ხანს ხაზინას საპენსიო კასებისთვის მოუხდება წელიწადში 10 მილიონ მანათამდე გადადება, ხოლო შემდეგ, როცა მრეწველობა ძალიან განვითარდება, 40 მილიონ მანათამდე.

✦ არსდება რუს-იაპონელთა სავაჭრო ტრესტი. ამ ტრესტს აზრად ექმნება, ხელთ ჩაიგდოს მთელი ვაჭრობა რუსეთსა და იაპონიის შორის. ამ საქმის ინიციატორი იაპონელია, შიმამული, რომელიც ერთხანად იაპონიაში სავაჭრო გაზეთსა სცემდა. ტრესტი, სხვათა შორის, გაიჩენს სავაჭრო გემებს და საზოგადოდ უკეთ მოაწყობს სავაჭრო ნავოსნობას.

✦ ამას წინად პეტერბურგში მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგის თავმჯდომარეობით შესდგა კომისია იმ საკითხების განსახილველად, რომელსაც კავშირი აქვს მეღვინეობასთან. სხვათა შორის, კომისიას უკვე შეუმუშავებია საკითხი საეკკლესიო ღვინის შესახებ. კომისია, როგორც ამბობენ, გაისს დაამთავრებს მუშაობას.

✦ როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, ჟურნალს „რუსკაია მისლ“ ს მაქსიმ გორკი ჰყიდულობს თურმე. ამბობენ, გორკი ჟურნალის ეხლანდელ გამომცემელს დიდ ფულს აძლევსო.

✦ პეტერბურგში მეტად დიდი მზადებაა მომავალ საიუბილეო დღესასწაულებისთვის. ქალაქის თვით-მმართველობა აუარებელ ფულსა ჰხარჯავს ქალაქის მოსაწყობად და სხვა-და-სხვა კუთხიდან მოსულ სტუმრების დასახვედრად. ქალაქის მოსაწყობად თვით-მმართველობამ საუკეთესო მხატვარნი მიიწვია. ასეთსავე მზადებაში არიან ადგილობრივი ადმინისტრაცია და დაწესებულებანი. სხვათა შორის, აზრადა აქვთ დღესასწაულების დროს პოლიციას ისეთი ტანისამოსი ჩააცვან, როგორიც პეტრე დიდის დროის პოლიციას ეცვა. ფული გადასდეს დღესასწაულებისთვის აგრეთვე ვაჭართა წოდებამ, ხელოსანთა საზოგადოებამ, მოქალაქეებმა და სხვებმა. ვაჭრებმა გადასწყვიტეს, პეტრეს სასწავლებლის ბაღში დასდგან პეტრე დიდის ძეგლი, რასაც მოუნდება 8000 მანეთი. ამას გარდა ვაჭრები აარსებენ ვაჭართა შვილებისათვის 50 სტიპენდიას სავაჭრო სკოლებში და 10 სტიპენდიას—უმაღლეს სასწავლებლებში.

✦ რუსეთის საიმპერატორო თეატრში სრულიად გააუქმეს ბენეფისები. მომავალ სეზონიდან აღარც ერთ არტისტს არ მიეცემა თურმე ბენეფისი.

✦ დრამამ „На днѣ“-მ მაქსიმ გორკის დიდძალი შემოსავალი მისცა. დრამა ერთხელ გამოსცეს მხოლოდ, მაგრამ ამ ერთმა გამოცემამაც ავტორს 300,000 მანეთი შესძინა. რაც თეატრებიდან აიღო, ის კიდევ მეტია.

✦ პეტერბურგსა და მოსკოვში განუზრახავთ ნიჭიერ ბელეტრისტს ჩეხოვს, რომლის მოთხრობებსაც ქართულადაც ბევრსა სთარგმნიან, ძვირფასი საჩუქარი მიართვან. ჰფიქრობენ, უყიდონ მამული ან დიდი სახლი. ფულს ხელის მოწერით მოაგროვებენ.

პრესსა

კარგა ხანია რუსული პრესსა უჩივის ლოთობასთან დაარსებულ სამზრუნველოებს. თითქმის ყველანი ერთხმად მოწმობენ, რომ სამზრუნველოები ნაკლებ ზრუნავენ ლოთობის ამოსაფხვრელად; ზოგგან, ცოტა არ იყოს, ხელსაც უწყობენ. როგორც „რუსკ. ვედომ“. სწერს, თანხა ამ სამზრუნველოებს დიდი აქვთ, მაგრამ ეს თანხა ნაყოფიერად არ იხარჯება. შარშან სამზრუნველოებს წიგნთ-საცავებსა და სახალხო კითხვებზე დაუხარჯნია მხოლოდ 226,668 მანეთი, რაიცა მთელის ხარჯის $7^1/_2$% ს შეადგენს. ამაზე მეტი—500 ათასი მანეთი—სამზრუნველოებს სახალხო გასართობებზე დაუხარჯნია.

ლოთობასთან ბრძოლა, განაგრძობს გაზეთი, მაშინ მოიტანს ნაყოფს, როდესაც ხალხი იგრძნობს მაგარ სასმელების მავნებლობას და როდესაც იმას შემთხვევა მიეცემა, თავისუფალი დრო გონების ვარჯიშობას მოახმაროს. უბრალო გასართობები ლოთობას ვერ მოაშლევინებს ხალხს, მხოლოდ დროებით, ისიც ცოტა ხნით, დაავიწყებს. ამიტომ ხალხისთვის უპირველესად ყოვლისა საჭიროა განმანათლებელი დაწესებულებანი. გასართობებს, როგორც მაგალითად, საცეკვაო საღამოებს, ყოველთვის არ მოაქვს სარგებლობა. ამის გამო სამზრუნველომ უმთავრესი ყურადღება გასართობებს კი არა, გონების გასავითარებელ საქმეებს უნდა მიაქციოს.

გაზეთის აზრით, შეიძლება ეს ნაკლი გასწორდეს მაშინ, როდესაც ფინანსთა სამინისტროს აზრი განხორციელდება. ფინანსთა სამინისტროს უნდა ლოთობასთან ბრძოლის საქმე ქალაქებში თვით-მართველობებს გადასცეს, ხოლო სოფლებში—ერობებს.

⁂

მკითხველებმა უკვე იციან, რომ დასავლეთ მხრის ცხრა გუბერნიაში მთავრობამ განიზრახა მარტივ საერობო დაწესებულებათა შემოღება. „კანონთა კრებულ“-ში გამოცხადებულია კიდეც ამის შესახებ. მარტივ საერობო დაწესებულებებს შემოიღებენ შემდეგ გუბერნიებში: ვილენისა, ვიტებსკისა, ვოლინისა, გროდნოსა, კიევისა, კოვენისა, მინსკისა, მოგილევისა და პოდოლიასაში. „კიევის გაზ.“ ამ ახალ დაწესებულებათა შესახებ სწერს:

საერობო ცხოვრება შიდა რუსეთში განვითარდა და გაძლიერდა, ხელ-შემშლელ პირობათა მიუხედავად, ამ უკანასკნელ 40 წლის განმავლობაში. ერობამ შექმნა სკოლა, სამკურნალოები, წიგნებისა და სამეურნეო იარაღის საწყობები, გაიყვანა გზები, ერთის სიტყვით, რაც სოფლად შიდა რუსეთში საკეთილო და სასარგებლოა,—საერობო დაწესებულებათა ნაყოფია. ხოლო ყოველივე ეს ერობამ შესძლო იმიტომ, რომ ადგილობრივ მკვიდრთ ბევრად თუ ცოტად თავისუფლად შეეძლოთ არჩევა მშრომელ კაცებისა. ეს უკანასკნელნიც, ნდობით აღჭურვილნი, ძალ-ღონეს არა ზოგავენ საერთო საქმისათვის. ახლად შემოღებული მარტივი ერობა ასეთ ნდობას მოკლებულია. მოკლებულია იგი ერობის მეორე ნიშნობლივ თვისებასაც—ხარჯის გაწერას.

ტფილისის თავად-აზნაურთა მორიგი კრება

7 მაისის კრება

თავად-აზნაურნი მიცვალებულის თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის გამოსვენებას დაესწრნენ და ამიტომ გვიან შეიკრიბნენ საკრებულო დარბაზში. ნაშუადღევის 2 საათი შესრულდა, როცა თავმჯდომარემ თავ. დ. ზ. მელიქიშვილმა კრება გახსნა შემდეგის სიტყვებით: გრენადერთა დივიზიის უფროსი, მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე უმაღლესად დაჯილდოვებულ იქმნა გენერალ-ადიუტანტობის წოდებით. ყველამ კარგად ვიცით, თუ რა თანაგრძნობით ეპყრობა უავგუსტოესი დიდი მთავარი ჩვენი ხალხის საჭიროებას. ბევრმა თქვენგანმა გამომიცხადა იმის სურვილი, რომ თავად-აზნაურობის სახელით დიდ მთავარს მივულოცოთ უმაღლესად ბოძებული გენერალ-ადიუტანტობაო. ამისათვის მოგმართავთ თქვენ და როგორ ინებებთ ამ სურვილის განხორციელებას.

კრებამ სიამოვნებით მოისმინა ეს ამბავი და დაადგინა: ტფილისის თავად-აზნაურთა სახელობით დიდ მთავარს ნიკოლოოზ მიხეილისძეს გენერალ-ადიუტანტობის მიღება მიულოცოს ცალკე დეპუტაციამ, რომელსაც შეადგენენ: გუბერნიისა და სამაზრო წინამძღოლნი და თავად-აზნაურთაგან: გენერალ-ადიუტანტები თავადნი ზ. გ. ჭავჭავაძე და ი. გ. ამილახორი, გენერალ-ლეიტენანტი დ. ა. სუმბათაშვილი, გენერალ-მაიორი ი. ს. ჭავჭავაძე, თავ. რ. ქ. ვაჩნაძე და სტ. სოვ. ი. დ. სულხანიშვილი.

ამავე დეპუტაციას დაევალა დეპეშით მიულოცოს დიდს მთავარს გიორგი მიხეილის ძეს გენერალ-მაიორობის მიღება და ხელმწიფე იმპერატორის ამალაში ჩარიცხვა.

ამით ოთხშაბათის კრება დასრულდა. ვინაითგან დღეს, ხუთშაბათს, მცხეთაში დაკრძალვაა განსვენებულის თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკის გვამისა, შემდეგი კრება პარასკევის შუადღემდე გადაიდო. კრებას აუწყეს, რომ განსაკუთრებული მატარებელი თავად-აზნაურთა მცხეთაში წასასვლელად ტფილისიდან მიდის დღეს, დილით 9 საათსა და 40 წუთს.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მორიგი კრებაზედ

3 მაისს, დილის 10 საათზე, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა შეიკრიბა თეატრში, სადაც მოვიდა ქუთაისის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორი ბ-ნი კალაჩოვი. ამომრჩეველთა სიის წაკითხვის შემდეგ თავად-აზნაურობა გაემგზავრა საკათედრო ტაძარში, სადაც ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა დროს შესაფერ სიტყვით მიჰმართა იმათ და ჩვეულებრივი ფიცი მიაღებინა. ტაძრიდან თავად-აზნაურობა ისევ თეატრში დაბრუნდა, სადაც გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა გააცნო საზოგადოებას ფინანსთა მინისტრის წინადადებით წინამძღოლთა მიერ შედგენილი მოხსენება, რომ თავად-აზნაურობამ სხვა-და-სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გაიწეროს ახალი გადასახადი, გარდა იმისა, რასაც დეპუტატთა საკრებულოს შესანახად იხდის. ამას შემდეგ კრება 5 მაისისათვის გადაიდო.

5 მაისს, კრების დაწყებისათანავე, ერთხმად არჩეულ იქმნა კრების მდივნად დ. ბ. მდივანი. ეს დღე თავად-აზნაურობამ რაჭის მაზრისა და რამდენისამე სხვა მაზრის თავად-აზნაურთა საჩივრების განხილვას მოანდომა. რაჭის მაზრის თავადნი წულუკიძეები ზოგიერთ საბუთების უქონლობის გამო დეპუტატთა საკრებულოს არ მოუქცევია ამომრჩეველთა სიაში. ამით უკმაყოფილო თავადები თხოულობენ, რომ სიაში იქმნენ მოქცეულნი, რადგან თვითეულს ჩვენგანს ორას-ორას დესიატინაზე მეტი ადგილი გვაქვს და მამულის გადასახადსაც ამის დაგვარად ვიხდითო. ზოგიერთები იმისთვის არიან თავ. წულუკიძეების ამომრჩეველთა სიაში მოქცევის წინააღმდეგნი, რომ ყოველთვის ისეთს პირს ირჩევენ რაჭის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად, რომელსაც რაჭაში კაცი ვერ ჰნახავს და ხან ხონში ცხოვრობს, ხან ოდესაში და ხანაც ვენაშიო: ეს გარემოება კი თავად-აზნაურთა საქმეების ძლიერ დამაბრკოლებელიაო. გამწვავებულ კამათის შემდეგ საქმე კენჭის ყრაზე მიდგა, რომლითაც დარღვეულ იქმნა დეპუტატთა საკრებულოს დადგენილება და თავ. წულუკიძენი 75 ხმის უმეტესობით 35 ხმის წინააღმდეგ ჩარიცხულ იქმნენ ამომრჩეველთა სიაში. კრება 7 მაისისათვის გადაიდო.

ქედონ-გელიანი

წერილი ბაქოდან

სამკითხველოს დაარსების განზრახვა

ამ ბოლო დროს ბაქოელმა ქართველებმაც განიზრახეს საერთო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსება. 3 მაისს ჰქონდათ ამის შესახებ მოლაპარაკება: შესძლებენ თუ არა იმის დაარსებას და შენახვას. ამის გამოსარკვევად გადასწყვიტეს გაიგონ რამდენი წევრი ეყოლება სამკითხველოს. ამ სხდომისვე გამოითქვა, რომ წელიწადში სამკითხველოს შენახვა დაუჯდებათ ათას მანეთამდის. აი, როგორ: ჯამაგირი გამგეს—400 მანეთი, სახლის ქირა—300 მანეთი, ჟურნალ-გაზეთები—150 მანეთი და უბრალო ხარჯი—150 მანეთი, სულ ათასი მანეთი. ძალიან ვეჭვობ, რომ ათასი მანეთი ეყოს სამკითხველოს დაარსებას და მის წარმოებას! ცნობების შეკრების შემდეგ უნდა აირჩიონ კომიტეტი, რომელსაც მიენდობა ფულის შეკრება და საქმის წარმოება. ფრიად სასიამოვნო აზრია, თუ შესძლებენ—შეძლებით როგორ ვერ შესძლებენ, თუ მოინდომებენ და არ გაიყოფებიან ორ დასად, როგორც წინედაც ყოფილა აქ. ურიგო არ იქმნებოდა, სანამ სამკითხველოს დაარსებდნენ, შეადგინონ სცენის-მოყვარეთა წრე და გამართონ წარმოდგენები რომლის შემოსავალიც გადადონ სამკითხველოსთვის, რადგან მარტო წევრების შემოტანილი ფული (ისიც ღმერთმა იცის, ყველა წევრი შემოიტანს თუ არა) ვერ ეყოფა. საზოგადოდ ბაქოში საწევრო ფულის მოკრება ძნელია. ბევრი აქაური „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრია, მაგრამ ფული მეოთხედს არ შეაქვს.

გ. ტასიკოშვილი

დაბა-სოფლები

ვარდისუბანი (კახეთი). გაზაფხულდა თუ არა და ვაზმაც კვირტი გამოიღო, სოფლელთ დაუწყეს გოგირდით წამლობა. მთელს სოფელში ძნელად და მოიძოვება ისეთი ვენახი, თუ ძალიან ღარიბი არ არის, რომელიც ვენახს არა სწამლობდეს. ამ სოფელში წინად რიგიანად სწამლობდა ვენახებს მხოლოდ სამი-ოთხი კომლი მაშინ, როდესაც მთელ სოფელში 399 მეკომურთა შრომამ უქმად არ ჩაუარათ. წინად ყველანი ეჭვის თვალით უყურებდნენ და გულცივად ეკიდებოდნენ ვენახების წამლობას, მაგრამ ამ ოთხი კომლის ვენახების მოსავალმა დაარწმუნა ხალხი, რომ რიგიანად წამლობა ძალიან სასარგებლო ყოფილა და აი, ამიტომაც წელს ყველა კაცი თუ დედაკაცი, მოხუცი და ყმაწვილი, ერთგულად შეუდგა საქმეს, ყველა გოგირდით ხელში მიეჩქარება ვენახისაკენ. სამწუხაროდ, სოფლელებმა დროს შერჩევა არ იციან საწამლებლად: ზოგი დილა ადრიან, ნამიანზე, აყრის გოგირდს, ზოგი საღამოთი და სხვა. კარგი იქნება, გოგირდისა და შაბიამნის საწყობებში მეპატრონეს დარიგებას აძლევდნენ ან რამ სახელმძღვანელოს აწვდიდნენ; რაიც დიდ სარგებლობას მოუტანდა ხალხს.

პარასკევს, 2 მაისს, დილით ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, რომელმაც მეორე დილამდის გასტანა და შესამჩნევად დააზარალა სოფელი. დააზარალა უფრო იმათი ვენახები, ვისიც შეუშველავი იყო, ესე იგი ვაზი არ იყო მიკრული ჭიგოზე. სულ ერთიანად დაამტვრია რქა-ყლორტები. მოხუცნი ამბობენ, ასეთს ქარიშხალს მაისში არ მოგვსწრებივართო.

აქაურ ქურდ-ბაცაცების რიცხვი დღითი-დღე მრავლდება, რადგან ეს ვაჟბატონები თავისუფლად დათარეშობენ. ამას წინად ერთ მეკომურს მოჰპარეს ქათმები, მეორეს—ბატკანი და ინდოურები, მესამეს—ცხვარი და სხვა და ყველა ეს მოჰპარეს ისეთს ოჯახებში, რომელთათვისაც ცხვარი, ქათამი და ბატი დიდი რამაა. ქურდებს ხშირად იჭერენ კიდეც, ამწყვდევენ ორი-სამი დღით და ისევ უშვებენ. ვაი იმისი ბრალი, ვინც დააბეზღა ქურდი! წავა დამბეზღებლის ვენახში და შეუბრალებლად ასჭრის ვაზს. ამ ბოლო დროს სოფლის მოსამართლეები ქურდ-ბაცაცების მიერ გაკაფულ ვაზების თვლას-ღა უნდებიან. ისე დღე როგორ გავა, რომ არ შეხვდეთ სოფელში ვინმეს, რომელსაც უჭირავს გადაკაფულ ვაზების კონა ხელში და მიდის მამასახლისთან საჩივლელად. გლეხკაცები ამას-ღა გაიძახიან გულ დამწვარნი: ამ ვაზის ავადმყოფობასაც წამალი დასდეს, სეტყვასაც და ქურდობას-კი ვერაფერი წამალი ვერ მოუძებნესო.

ციგის-გორელი.

სოფელი მაღლაკი. (იმერეთი). დღე ისე არ გაივლის აქ, რომ ძარცვა-გლეჯა არ მოხდეს. ქურდ-ბაცაცებმა შეაწუხეს მთელი სოფელი ამ რამდენისამე დღის წინად მოჰპარეს გლეხებს ცხენები და არხეინად გაუყვნენ გზას. ხონიდან მომავალ ერთ კაცს მოჰპარეს ცხენი თავის უნაგრით, როდესაც საძოვრად გაუშვა მინდორში.

მაღლაკს, როგორც იქმნა, ეღირსა ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლა. აქაურმა მცხოვრებმა თომა ტყეშელაშვილმა მოუპოვა სკოლას ერთი ქცევა ადგილი და თავისის ხარჯით ააგო სახლი. იმედია, ტყეშელაშვილის მაგალითს სხვებიც მიჰბაძვენ და სკოლას გულ შემატკივრობას გაუწევენ.

გზების კეთება ხონიდან ქუთაისამდე როგორც იყო დამთავრდა და ჩინებულადაც მოჰკენჭეს. მხოლოდ მაღლაკის წყლებს არაფერი ეშველა. ეკლესიასა ან სასწავლებელშიაც-კი ფეხ დაუსველებლივ არ შეგვიძლიან მისვლა.

ელ. ნ.

წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო ანგარიში ქართული საღამოსი, რომელიც გაიმართა 23 თებერვალს ქალ. განჯაში

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. შემოსავალი: ნომრიან ბილეთებისა—490 მ. 80 კ., შესასვლელ ბილეთებისა—48 მ. სამკერდო ბილეთებისა—30 მ. ჟეტონების გაყიდვისა—40 მ. პროგრამებისა—8 მ. 20 კ., შემოწირულება 154.—სულ 771 მ. ხარჯი: კლუბის ქირა 60 მ., აფიშები, ბილეთები, პროგრამები 17 მ., ჰონორარი არტისტებს 162 მ., ტანისამოსის ქირა 34 მ. 60 კ., მუზიკა—14 მ. 60 კ., ჟეტონები—26 მ. 10 კ., პარიკმახერს—5 მ., მარკები ბილეთებისთვის—30 მ. 40 კ., დეკორატორებს და მოსამსახურეებს—9 მ. 50 კ., ტელეგრამები—2 მ. 35 კ. წვრილი ხარჯი—11 მ. 65 კ., ფულის გასაგზავნი—1 მანეთი. სულ—373 მან. 60 კ., წმინდა შემოსავალი დარჩა—397 მან. 40 კაპ., რაც გავგზავნე „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას.

საღამოს გამმართველნი დიდს მადლობას უძღვნიან საღამოში მონაწილეობის მიმღებთ: ო. ი. კამენეცკისას. გ. ა. დაბროვოლსკისას. მ. ი. ანდრეევსკისას, არტისტ ქალს ნ. მ. გაბუნია-ცაგარელისას, ო. გ. კონცისერისას (მუქთად როიალის დათმობისთვის) კ. ი. კობოსკის, არტისტს გ. ა. აბაშიძეს, ა. გ. კვესაძეს და სხვებს, რომელთაც ხელი შეუწყვეს საღამოს გამართვას, როგორც მონაწილეობის მიღებით, ისე შემოწირულებით.

შემომწირველთა სია: შემახიის რაზმის უფროსი პოლკოვნიკი გლინსკი—15 მ. დ. ა. დადეშქელიანი—10 მ. რუსტამბეკოვი—10 მ., თავ. უცმიევი—10 მან. ს. ი. შამრაევი—10 მ., პ. ი. გვერდწითელი—10 მ. ხანი ნახიჩევანისა—10 მ. ნ. ბ. დოლობერიძე 10 მ. ნ. ა. ადამოვი—10 მ., ა. ფ. ანდრეევი—5 მ. ა. ი. საგინაშვილი—5 მ. გ. ი. მიტკევიჩი—5 მ., თავ. ქ. ი. ჯორჯაძე—5 მან., განზიელი—5 მ. ქ. ი. სულხანიშვილი—5 მ., დ. მ. ანანიაშვილი—5 მ., თავ. კ. ნ. ვაზირიშვილი—5 მ. სარაჯალინსკი ჰუსან აღაბეკ—5 მ., ს. კ. შოშოხაძე—3 მ., კარახანოვი—3 მ., ჩ. პ. ახრიევი 3 მ., ი. ო. კოვნოვიცკი—3 მ. 10 კაპ. და ფლეიშერი—1 მ. 90 კ.

საღამოს გამგე ელ. აბულაძისა

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 მაისი.

ბიისკი. ბიისკში გახსნეს რუსეთ-ჩინეთის ბანკის განყოფილება.

უფა. 6 მაისს, დილის 4 საათზე, ქალაქის ბაღში ცხრა ტყვიით მოჰკლა ოთხმა ბოროტ-მოქმედმა გუბერნატორი ბოგდანოვიჩი.

ვენა. ის ხმა, ვითომ ბოლგარიის მთავარი ფერდინანდი სცდილობს იმპერატორმა ფრანც-იოსებმა მიმიღოსო, ტყუილია—მთავარი არა სცდილობს ამას. სიცრუეა აგრეთვე ისიც, რომ ელჩი ერენტალი ვენას იმის საქმეთა მდგომარეობის მოსახსენებლადაო. ერენტალი მხოლოდ თავის ავადმყოფ ცოლს მიჰყვება კარლსბადში და ისევ ჩქარა დაბრუნდება პეტერბურგს.

კონსტანტინეპოლი. ოფიციალურ ცნობებით, მონასტირში მომხდარ უბედურების მსხვერპლთაგან 13 მძიმედ დაჭრილ ქრისტიანე საავადმყოფოშია, 11 მსუბუქად დაჭრილი-კი საპყრობილეში. უმეტესი ნაწილი ამათგან ბერძენია. დაჭრისა და დაპატიმრების დროს ყველა ესენი უიარაღო იყვნენ. გუბერნატორი ენერგიულად იცავს წეს-რიგსა და მშვიდობიანობის დამყარებას სცდილობს. ვაჭრობა შეწყვეტილია.

ასხაბადი. ასხაბადს მოვიდა კამერ-იუნკერი ბურდუკოვი; იგი გამოგზავნილია შინა-მრეწველობის გასავრცელებლად ზომების მისაღებად. პირველი ადგილი შინა-მრეწველობაში ხალიჩების კეთებას აქვს.

იალტა. მოვიდა დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე და აი-ტოდორს წავიდა.

კონსტანტინეპოლი. სალონიკიდან ამბავი მოვიდა, რომ ბოლგარელი მარკო, რომელმაც ოტტომანის ბანკს მინები ჩაუწყო, დაპატიმრებულია.—ის ცნობა, რომ მცირე აზიის 38 რედიფთა ბატალიონი გამოიწვიესო, ტყუილია. პორტა აცხადებს, რომ უმთავრესი სამხედრო მოქმედება გათავდა იპეკში ჯარის შესვლით. დარჩა მხოლოდ ის, რომ ალბანელთა უმცირესობა დაისაჯოს.—ბოლგარეთი აცხადებს, რომ ხმები, ვითომ ოფიცერთა ნაწილი ფილიპპოპოლიდან, თათარ-ბაზარჯიკის გარნიზონი და სტუდენტები ოსმალეთის საზღვარზე გადასულიყვნენ, ტყუილია. პორტამ კი მიიღო ამბავი, რომ ეს პირნი ჩეტებში მონაწილეობის მისაღებად გადასულან ბოლგარეთში. ისინი ალბათ მაკედონიისაკენ წავიდოდნენ.—ნასირ-ფაშის დივიზია იპეკთანა სდგას. დიაკოვიდან მოსულ ჯარს დებატი არ დაუტოვებია. შესაძლებელია, რომ ილდიზ-კიოსკმა, რომელსაც აუწყეს, რომ 30 აპრილს ბევრი ჯარი დაუხოცავთ ალბანელებსაო, ბრძანა იერიში შეეწყვიტათ. სხვა ცნობებით ალბანელები 30 აპრილის შეტაკების შემდეგ შეურიგდენ სულეიმან-ოღლის წინამძღოლობით და კაპრიჯნის სიმაღლეები დაიჭირეს, დეჩენის მონასტრის პირ-და-პირ. უკანასკნელ ცნობებით შემსი-ფაშა რვა ბატალიონით დეჩენის მონასტერთან მოვიდა და იქნება თავს დაესხა კიდეც ალბანელებს; საფიქრებელია, რომ ალბანელები წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ და პლავნასა და გუსინისაკენ წავლენ. ცნობები, რომ საზოგადო რიცხვი იმ პირთა, რომელთაც გადასწყვიტეს რეფორმებს წინააღმდეგობა გაუწიონ, 10,000 კაცია, გადაჭარბებულია.—სურსათი დიდის დაბრკოლებით მისდით. ქრისტიანეთა სოფლები ჯარებისა და ალბანელების მოძრაობის გამო მეტად შეწუხებულია. ჩერნოგორიამ შესამჩნევად გააძლიერა საზღვარზე მცველნი.

სოფია. ახალი კაბინეტი შესდგა: გენერალი პეტროვი—მინისტრ-პრეზიდენტად და საგარეო საქმეთა მინისტრად, პეტკოვი—შინაგან საქმეთა, გენადიევი—იუსტიციისა, შიშმანოვი—სახალხო განათლებისა, თანუშევი—ფინანსთა, სავოვი—სამხედრო, პაპოვი—საზოგადო სამუშაოთა და დროებით სავაჭროთა. ახალს კაბინეტში არის სამი სტამბულოვის მიმდევარი—პეტროვი, პეტკოვი, და გენადიევი—და ოთხი მთავრის სარწმუნო პირნი—შიშმანოვი, თანუშევი, პაპოვი და სავოვი.

ბერლინი. „ქელ. ც.“ აუწყებენ ბელგრადიდან, კომიტეტი შესდგა აქ, რომელიც სცდილობს ძეგლი დაუდგას შჩერბინას, სერბიის გულითად მეგობარს და იმის იდეებისთვის დაღუპულსა.

მადრიდი. დღეს გაიხსნა „კორტესი სესიისთვის,“ რომელიც ამტკიცებს, რომ ისპანიას ყველა სახელმწიფოებთან გულითადი განწყობილება აქვს. მაროკოს არეულობამ „გამოააშკარავა ევროპის“ სახელმწიფოთა სურვილი მაროკოს ტერიტორიის ხელშეუხებლობისა, და ესპანიასთან შეთანხმებით მოქმედებისა ყოველ საქმეში, რაც კი მაროკოს „სახელმწიფოს ეხება.“

უფა. მეხუთე საათზე გუბერნატორი ბოგდანოვიჩი სეირნობდა მარტო საქალაქო ბაღში, სადაც ბევრი მოსეირნე ხალხი იყო. გვერდის ხეივანზე გავლის დროს, რომელიც სობორის მახლობლად არის, გუბერნატორს დაესხა ორი თუ სამი ბოროტ-განმზრახველი, სწორედ არ იციან; ერთმა მას თავი დაუკრა და მისცა დაბეჭდილი პაკეტი. სხვებმა კი ერთად რამდენჯერმე რევოლვერი ესროლეს გულში და ზურგში. გუბერნატორი იმავე წამს მოკვდა. ეს ბოროტ-მოქმედება პირველად ეკკლესიის დარაჯმა გაიგო და დაინახა მკვლელები, მაგრამ შეეშინდა რევოლვერის სროლისა, რომელიც მისკენ იყო მიმართული, და ამით მისცა საშუალება დამალვისა. მოგროვილმა ხალხმა უსულო გვამი გუბერნატორის სახლში წაასვენეს, სადაც დაუყოვნებლივ მოვიდნენ მთავრობის წარმომადგენელნი. გამოძიება სწარმოებს. საღამოს 9 საათზე პირველი პანაშვიდი გადაიხადეს. მთელი ქალაქი სტიროდა გულ-წრფელი ცრემლით უდროოდ სიკვდილს უღმერთოდ მოკლულ ნ. მ. ბოგდანოვიჩისას, რომელმაც ექვსი წლის აქ ყოფნაში მიიპოვა დიდი სიყვარული ყველას მწუხარებისადმი მხურვალე თანაგრძნობისათვის.

კონსტანტინეპოლი. „ფრემდ.“-ის განცხადებამ „რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“ ბოლგარეთის სამინისტროს კრიზისზე დ იმაზე, რომ რუსეთს და ავსტრო-ჰუნგრეთს სურს მშვიდობიანობის დაცვა, აქ დიდი კმაყოფილება გამოიწვია.

პარიზი. პარიზის მუნიციპალურ საბჭოს პრეზიდენტმა მადლობით მიიღო პეტერბურგის საბჭოს მოწვევა იუბილეიზე და აუწყა, რომ საბჭო დეპუტაციას გამოგზავნისო.

პეტერბურგი. 6 მაისს, მისის უდიდებულესობის დაბადების დღეს, ცარსკო-სელსკის დიდ ტაძარში სასახლის სამღვდელოების მიერ გადახდილ იქმნა წირვა. წირვას დაესწრნენ ხელმწიფე-იმპერატორი, ხელმწიფე-დედოფალნი მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და მათი უმაღლესობანი. ეკკლესიაში იყვნენ სეფე-ქალნი, ხელმწიფე დედოფლის და დიდ მთავართა მეუღლეების ამალის ქალნი, უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი. სახელმწიფო საბჭოს წევრნი „და მინისტრები. პირველის ნახევარზე სასახლის დარბაზში საუზმე გაიმართა. რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ ყველანი, ვინც კი წირვას დაესწრო.

მოგებათა ტირაჟი.

გუშინ დაბეჭდილი გვქონდა ნომრები იმ ბილეთებისა, რომელთაც დიდი მოგებანი ჰხვდათ და აგრეთვე ნომრები გაბათილებულ ბილეთებისა. დღეს ვბეჭდავთ იმ ბილეთების ნომრებს, რომელთაც 500 მანეთი ჰხვდათ:

№№ ბილეთებისა.	№№ სერიებისა.
1:	287, 8,954, 8,444, 11,315, 15,598, 9,351, 11,124, 10,887.
2:	10,809, 8,314, 6,529, 8,103, 9,099, 11,250, 9,678.
3:	3,026, 11,944, 9,993, 15,641.
4:	9,257, 9,949, 15,129, 11,174, 5,409.
5:	13,191, 3,187, 13,797, 3,711, 6,812.
6:	13,046, 8,220, 3,165, 9,631.
7:	4,605, 483, 4,724, 15,170, 13,137, 14,902, 15,661.
8:	905, 12,559.
9:	2,139, 14,861, 3,213, 14,966.
10:	3,205, 12,412, 3,285, 7,791, 5,565, 2,371.
11:	1,667, 4,340, 6,399, 4,755, 5,680, 12,854, 13,978, 3,445, 11,363.
12:	14,366, 2,320.
13:	11,058, 11,055, 2,587, 5,481, 4,597.
14:	11,706, 3,682, 10,804, 9,845.
15:	15,783, 975, 4,224.
16:	9,616, 7,380, 7,735, 11,803, 11,780.
17:	162, 13,141, 12,007, 1,347, 12,398, 15,326, 7,156, 11,409.
18:	2,533, 3,951, 11,185, 6,625, 8,006.
19:	7,262, 5,709, 13,409, 10,620, 11,574, 4,903, 4,810, 3,532, 9,032.
20:	8,724, 9,430, 15,140, 1,257, 9,921, 13,639, 12,984, 5,469, 14,633, 12,892.
21:	14,911, 4,527, 10,098, 5,390, 2,679, 14,303, 274, 5,150, 1,042, 12,734, 4,934.
22:	12,432, 7,742, 15,379.
23:	13,340, 6,276, 6,622, 13,519, 2,011, 9,701.
24:	11,251, 2,239, 1,470.
25:	13,941, 8,923, 6,894, 12,676, 9,984.
26:	10,765, 475, 12,350, 9,500.
27:	13,844, 11,298, 13,016.
28:	12,929, 5,860, 14,590.
29:	14 035, 6,579, 12,049, 12,531, 4,892, 7,663.
30:	9,679, 5,211, 3,513.
31:	13,029, 5,598, 5,250.
32:	12,041, 2,584, 11,878, 14,716, 1,942, 4,542, 10, 13,216.
33:	13,152, 15,704, 7,175, 14,227, 8,302, 14,781.
34:	2,588, 572, 11,799, 7,356, 13,977.
35:	14,299, 14,433, 2,630, 12,689, 10,302, 13,007.
36:	12,132, 3,965.
37:	3,824, 2,665, 14,069.
38:	2,303, 6,599, 10,407, 6,203, 4,369, 5,870, 6,332, 2,746, 13,577, 9,202.
39:	11,808, 3,253.
40:	13,178, 7,663, 14,884, 1,820.
41:	4,147, 2,282, 4,565.
42:	3,945, 10,080, 6,613, 4,489, 3,772, 13,131, 14,934, 8,946, 13,913, 11,268.
43:	10,901, 8,868, 6,843, 7,042.
44:	2,250, 9,236, 12,683, 15,677, 6,051, 11,126.
45:	12,302, 13,289, 3,990, 15,525, 1,880, 4,783.
46:	168, 5,052, 2,758, 6,000, 14,379, 1,001.
47:	13,343, 11,367, 3,365.
48:	4,490, 15,072, 9,447, 12,037, 1,182.
49:	9,990, 747, 2,682.
50:	105, 2,802, 7,622, 5,731.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

საბირჟო ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 25 აპრილს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,95
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,85
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,67½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98⅜ გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100 ¾ მყიდვ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა.	95⅜ „
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	435½ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	334½ „
5/0 გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ. მამ. ბანკისა	297½ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა.	—
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5/0 გირავნ. ფურც.	91 მყიდვ.
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	199 გაყიდ.

განცხადებანი

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო რა ღებულობს. (0—46)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ფარმაცევტთა ამხანაგობა
ტფილისში
(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).
ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ქირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვადასხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის სადებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელი საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. (100—30)

მაზოლის სითხე **ჰოლლენდერ**

მაზოლი მაშინვე ჰქრება, თუ იხმართ მაზოლის სითხეს **ჰოლლენდერ**, სრულიად ტკივილს არ იგრძნობთ. ფასი თითო ფლაკონისა 35 კაპ., ორი ფლაკონი იგზავნება ფოსტით 1 მანეთად ა. ჰოლლენდერის ლაბორატორიიდან, პეტერბურგი, რაზიეზჟაია ქუჩა, № 13. ისყიდება იმპერიის ყველა აფთეკებსა და საათფთექო მაღაზიებში. (ნ. 4—2)

Дозв. ценз. Тифлисъ, 7 мая, 1903 г
რედაქციის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.
(Электропеч. Груз. Издат. Т—ва)